საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის

საბჭოს თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ზურიაშვილს

მედიის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარის

თამარ კინწურაშვილის,

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის თავმჯდომარის

გიორგი ტუღუშის.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების

ინსტიტუტის დირექტორის

ეკა ჭითანავას

განცხადება

(საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

2015 წლის 8 აგვისტოს გურია news-მა ვებ-პორტალზე გიორგი გაჩეჩილაძის სტატია „თურქული კულტურის ექსპანსია გრძელდება[1]“ გამოაქვეყნა. ვთვლით, რომ აღნიშნული პუბლიკაცია თურქოფობიული ხასიათისაა და შეუწყნარებლობას აღვივებს.

ავტორი არა სერიალის მხატვრულ ღირებულებას მიმოიხილავს, არამედ ეთნიკური და გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაციას ახდენს, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ისტორიული ფაქტების თანამედროვე ვითარებაში კონტექსტუალიზაცია. კერძოდ:

> „ჩემი პირადი აზრი გახლავთ: რაც საუკუნეების განმავლობაში ოსმალებმა ცეცხლითა და მახვილით ვერ მოახერხეს, "უწყინარი" თურქული სერიალები მოკლე დროში შეძლებენ და უკვე შეძლეს - ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თურქული კულტურული ტყვეობის მსხვერპლი გახდა და ეს ტენდენცია უფრო და უფრო საშიშ სახეს ღებულობს“.
>
> „ჩემი პირადი აზრია, რომ თურქული სერიალები ჩვენი მოსახლეობის სულიერ დეგრადაციას და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ქვეყნის ტრადიციების დამკვიდრებას ემსახურება... ოსმალოთა კულტურული ემანსიპასია მოქმედებას განაგრძობს და ქართველთა უსისხლო და უმტკივნეულო "გათურქებაში" დიდი წვლილი შეაქვს.“

ვთვლით, რომ მედია საშუალებამ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად, "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების

[1] http://gurianews.com/_/left_wide/30474_118_ka/Turquli_kulturuli_eqspansia_grZeldeba.html

საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნულიან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".

გთხოვთ, განიხილოთ გურია news-ის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი.

პატივისცემით,

თამარ კინწურაშვილი

მედიის განვითარების ფონდის (MDF) გამგეობის თავმჯდომარე

გიორგი ტუღუში

საქართველოს დემოკრატიული (GDI) ინიციატივის თავმჯდომარე

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)

დირექტორი

18.08. 2015